დაე, იგემოს დამცირება იმ კაცმა, ვისთანაც მახსენებენ და არ დამლოცავს. სირცხვილი იმ კაცს, ვინც მოესწრება რამადანს და დაასრულებს მას ისე, რომ ვერ მოიპოვებს მიტევებას. სირცხვილი იმ კაცს, ვისაც მოესწრება მოხუცი მშობლები და ისინი მისი სამოთხეში შესვლის მიზეზი ვერ გახდებიან

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «დაე, იგემოს დამცირება იმ კაცმა, ვისთანაც მახსენებენ და არ დამლოცავს. სირცხვილი იმ კაცს, ვინც მოესწრება რამადანს და დაასრულებს მას ისე, რომ ვერ მოიპოვებს მიტევებას. სირცხვილი იმ კაცს, ვისაც მოესწრება მოხუცი მშობლები და ისინი მისი სამოთხეში შესვლის მიზეზი ვერ გახდებიან».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სამი კატეგორია ხალხი დაწყევლა, და მათ ცხვირის მიწაში თრევა უსურვა დამცირებით, დაკნინებით და წაგებით. პირველი კატეგორია: ის ვისთანაც მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახსენებენ და არ დალოცავს მას შემდეგი სიტყვებით: ''სალალლაჰუ ალაიჰი ვა სალამა'' ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ან მსგავსი სხვა ფორმით. მეორე: ვინც მოესწრება რამადანის თვეს, შემდეგ დასრულდება თვე და მას კიდევ არ მიეტევება, რადგან ის სრულფასოვნად არ იყო ალლაჰის მორჩილებაში. მესამე: კაცი რომელიც მოესწრება მშობლების სიბერეს და ისინი ვერ გახდებიან მისი სამოთხეში შესვლის მიზეზი, მის მიერ გამოჩენილი დარღვევების და მათი შელახული უფლებების გამო.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/6014

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee